

შპს დვ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერი



შპს დვ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობა 31.12.2024

საქმიანობის შედეგები 31.12.2024

განმარტებითი შენიშვნები



ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2024 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს)

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია

მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესაძარის და გასაგებ ინფორმაციას
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე

კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე



ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მის ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე

ხელმძღვანელი დირექტორები (სახელი ,გვარი)--- დავით რაზმაძე და ვახტანგ ლაშხი

მთავარი ბუღალტერი (სახელი ,გვარი)--ლუიზა თავყელიშვილი

ბ.ა



შპს დვ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია : შპს დვ სპორტი , ს/ნ : 202217127 (დაარსდა 2003 წლის ნოემბრის თვეში).კომპანიის დამფუძნებლები არიან: დავით რაზმაძე - 50 % წილის მფლობელი და ვახტანგ ლაშხი-50 % წილის მფლობელი.

იურიდიული მისამართი : ქ.თბილისი ბელაშვილის ქ.85

ფაქტიური მისამართი : ქ.თბილისი ბელაშვილის ქ. 85

საქმიანობის ძირითადი სფერო : (NACE) კოდი -47640 , საცალო ვაჭრობა სპორტული მოწყობილობებით სპეციალიზირებულ მაღაზიებში.

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არის ეროვნულ ვალუტაში ლარი

ანგარიშგების პერიოდი: ფინანსური ანგარიშგების საანგარიშო პერიოდია 2024 კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

სააღრიცხვო პოლიტიკა და წარდგენის საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური



შპს დე სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს :

1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსი);
2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს
3. ახსნა-განმარტებით შენიშვნებს

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ ,ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები

საწარმო იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის ,ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას .ძირითად საბალანსო ანგარიშებს შესაძლებელია დაემატოს საჭიროებისამებრ ქვეანგარიშები .ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ელექტრონული ფორმით .

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და ნაღდ ფულს სალაროში. ფულადი სახსრები ასახულია ნომინალით.



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ურთიერთდამოკიდებული პირების, გადასახადისაგან განთავისუფლებული ან/და არარეზიდენტი პირების მიმართ აისახება გამიჯნულად .

მოთხოვნებს და დებიტორულ დავალიანებებს მონაცემთა ბაზის მიხედვით გააჩნია შემდეგი სტრუქტურა: დებიტორების აღრიცხვის ჟურნალში აღირიცხება ანალიზური აღრიცხვის მიზნებისათვის დებიტორი ორგანიზაციების დასახელებები, დებიტორული დავალიანების წარმოშობის წლები.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით , რომელიც მოცავს შეძებასთან, ტრანსპორტირებასთან ,შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპი დანახარჯებს .



შპს დე სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცვის მეთოდია -უწყვეტი -

სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა თვითირებულების განსაზღვრის მეთოდია

„საშუალო შეწონილი“

სხვა აქტივების აღრიცხვა - მრავალჯერადი გამოყენების აქტივები რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია ,აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში

სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის საშალებები აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში, მათ არ ერიცხებათ ცვეთა , მაგრამ იღებენ მონაწილეობას ქონების გადასახადში.

ცალკეული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა -

მოხმარებისათვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს

-100 ლარამდე ღირებულების ინვენტარი და ნივთები მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს (კალკულატორი ,ტელ.აპარატი და სხვა)

კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისათვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კატრიჯები ,დისკები ,ეკრანი ს გასაწმენდი სითხე და სხვა) მარაგებში არ აისახება და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს ან საოფისე ხარჯებს

მასალები რომელიც უშუალოდ იღებს მონაწილეობას მომსახურების სერვისში და გამოიყენება თხილამურისა და სნოუბორდის შეკეთება-აღდგენაში ჩამოიწერება შესაბამისი აქტის საფუძველზე



სამშენებლო მასალები რომლებიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისათვის ,ძირითადი საშუალებების შესაკეთებლად საჭირო სატადარიგო ნაწილები და მასალები ჩამოიწერება აქტის საფუძველზე

ძირითადი საშუალებები-

- ნაყიდი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით რომელიც მოიცავს :ნასყიდობის ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს ,ტრანსპორტირების ,მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხაჯრებს
- საკუთარი ძალებით აშენებული (დამზადებული) ძირითადი საშუალებების ღირებულებაში არ შეიტანება მოგება
- უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებებით .
- ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით
- ძირითადი საშუალებების ცვეთადი ღირებულება განისაზღვრება მათი პირვანდელი ღირებულებიდან სალიკვიდაციო ღირებულების გამოკლებით
- ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხვება წრფივი მეთოდით
- საწარმო ძირითადი საშუალებებების გადაფასებას ახდენს ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან .(ეს ეხება მხოლოდ შენობას).
-

არამატერიალური აქტივები

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით ,რომელიც მოიცავს ნასყიდბოსს ფასს ,განბაჟების ხარჯებს ,არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის



შპს დე სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

- მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს, ოპერაციები სხვა ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ: უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები აისახება საანგარიშგებო ვალუტაში(ლარი) ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები გადაფასდება, ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმავე პერიოდში. უცხოური ვალუტით მიღებული არაფულადი მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით, მათი გადაფასება საანგარიშგებო თარიღისათვის არ ხდება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხების ღირებულებას. ვალდებულებები, რომელთა



შპს დვ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

გადახდის ვადა 1 წელზე მეტია, კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე (კრედიტორული

დავალიანებები, რომელიც არ არის დაფარული ანგარიშგების თარიღისთვის) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება -----ლარის კრედიტორული დავალიანება

საგადასახადო ვალდებულებები

საწარმო რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად

შპს დვ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საგადასახადო ვალდებულების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშებაში ასახეული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხებით)

შემოსავლების აღიარება

- შემოსავლები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად ,თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება .



შპს დვ სპორტი-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

- შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით

ხარჯების აღიარება

- ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით
- ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის
- შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.
- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია
-
-
- კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.



კაპიტალი

საწარმოს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის ბაზა, რომელიც დააკმაყოფილებს საქრმოს საოპერაციო და სტრატეგიულ საჭიროებებს და უზრუნველყოფს ბაზრის მონაწილეთა ნდობის შენარჩუნებას. ეს მიიღწევა ფულადი ნაკადების ეფექტური მართვით, საწარმოს შემოსავლებისა და მოგების, ასევე გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების მუდმივი მონიტორინგის გზით,

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლის შესაბამისად, საწარმოს მოგება განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისათვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები, გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღების თანავე (კრების ოქმი). მოგების

გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით “მოგების გადასახადი” წარდგენილი იქნება საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება



გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმომშობი მოვლენის შესაბამის
საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების
შესაბამისი აქტივის წარმომშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს
მაგალითად: გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით
აღიარების კრიტერიუმებს.

ფინანსური რისკები

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო
რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით.

ფინანსური რისკი

მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა
საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების
მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების
მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და
სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო
ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების
მინიმუმამდე დასაყვანად.



კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს, რომ კონტრაქტორი დროულად ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილებების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა პროცენტის მატარებელი, სავაჭრო და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებად პროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.



სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას.

კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით. კომპანიას გააჩნია ფული და სხვა სახის მაღალი ლიკვიდურობის აქტივები, რომლებიც უზრუნველყოფს მიმდინარე ვალდებულებების დროულ გასტუმრებას.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად,

გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან.



ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ
წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი
ცვლილებების რისკის მატარებელია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი.

მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც
ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს
მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა
კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები,
ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გააანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო,
რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის
განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია
მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის
გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად
უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები
გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის
ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	2722637	631093	654154
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	356454	106786	545278
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	243652	152927	320554
მარაგები		6399372	7123368	4918472
სხვა	4	6399372	7123368	4918472
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	77097	76471	56585
ძირითადი საშუალებები	6	8826130	1753108	1787170
სულ აქტივები		18625342	9843753	8282213

ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	196837	119480	116867
საგადასახადო ვალდებულებები		453894	0	124088
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	8	0	385740	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9		0	249828
სულ ვალდებულებები		650731	505220	490783

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		10325264	8883042	7335939
გადაფასების რეზერვი	10	7647347	453491	453491
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		17974611	9338533	7791430
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		18625342	9843753	8282213

სულ მოკლევადიანი აქტივები	677203	336184	279537
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	650731	240955	327934



**შპს დვ სპორტი-ს მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების
ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის**

საქმიანობის შედეგები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	11	10807162	7718705
საქონლის გაყიდვიდან		10736242	7659699
მომსახურების გაწევიდან		70920	59006
გაყიდვების თვითღირებულება		-4945521	-3451186
საერთო მოგება		5861641	4267519
სხვა საოპერაციო შემოსავალი	12	23647	106931
დასაქმებულთა ანაზღაურება		-1230527	-1022108
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-255831	-160994
საპროცენტო ხარჯი	13	-3187	-33761
იჯარის ხარჯი		-6007	-6143
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	-372981	-348272
სულ საოპერაციო ხარჯები		-1844886	-1464347
საოპერაციო მოგება		4016755	2803172
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	15	-4744	-110171
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი		-108502	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		3903509	2693001
მოგების გადასახადის ხარჯი		-369608	-171882
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		3533901	2521119
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		7193856	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		10727757	2521119
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		9338533	7791430
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-2090702	-974000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-977	-16
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		17974611	9338533



ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2091544	-23061
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	2091544	-23061
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	631093	654154
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2722637	631093



ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ექვივალენტები (შენიშვნა # 1)

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში.

2024 წლის საბანკო ანგარიშზე ფიქსირდებოდა ლარი-სავალუტო ანგარიშზე უცხოური ვალუტის ექვივალენტი ლარში (31.12.2024-ის კურსით \$-2.8068 და EUR-2.9306)

ნაღდი ფული სალაროში	24394.00
თიბისი ბანკი	735819
პროკრედიტ ბანკი	164527
საქართველოს ბანკი	67486
აშშ დოლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	7256
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	1723155
საერთო ჯამი	2722637

2.სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა #2)

იურიდიული პირები	319855
ფიზიკური პირები	36599
საერთო ჯამი	356454

კომპანიას აქვს დებიტორული დავალიანებები კომპანიებთან , რომლებიც ძირითად სავაჭრო პარტნიორებს წარმოადგენენ და ასევე ფიზიკურ პირებთან



3. ავანსები (შენიშვნა #3)

წინასწარ გადახდილი ავანსები	12331
წინასწარ გადახდილი ჟურნალ-გაზეთები	168
საქონლის მომწოდებლებთან გადარიცხული ავანსები (არარეზიდენტებთან)	202935
საქონლის მომწოდებლებთან გადარიცხული ავანსები (რეზიდენტებთან)	28218
საერთო ჯამი	243652

კომპანია საქონელს იძენს არარეზიდენტ საწარმოსგან, ახორციელებს იმპორტს .31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გადარიცხული ექონდა საქონლის შესყიდვის ავანსები.

4. მარაგები (შენიშვნა #4)

მარაგები	6399372
----------	---------

კომპანია ვაჭრობს სპორტული ინვენტარით და ასევე ახორციელებს სხვა და სხვა მომსახურებას: თხილამურისა და სნოუბორდის გაქირავება, თხილამურისა და სნოუბორდის რემონტი, საბარგულის მონტაჟი, ველო რემონტი, ჩოგნის სიმის დაჭიმვა, მედლის აწყობა, სატრანსპორტო მომსახურება.

გასაყიდათ განკუთვნილი საქონელი	6355220
საწვავი	6101
მაღაზიის გასაფორმებლად განკუთვნილი საქონელი	7618
სასაჩუქრე ბარათები	2129



სარემონტო მასალა (რომელიც გამოიყენება მომსახურების განსახორციელებლად . აქ არის გაერთიანებული როგორც ხარჯვადი მასალა ასევე მცირეფასიანი ხელსაწყოები) 28304

საერთო ჯამი 6399372

5.სხვა მოკლევადიანი აქტივი (შენიშვნა #5)

სხვა მიმდინარე აქტივი 77097

შედეგა სხვა მიმდინარე აქტივისგან სადაც გაერთიანებულია მცირეფასიანი აქტივები, ამ აქტივებს არ ერიცხება ცვეთა, მაგრამ ერიცხება ქონების გადასახადი.

6.ძირითადი საშუალებები (შენიშვნა # 6)

ძირითადი საშუალებები



ძირითადი საშუალებები	თვითღირებულება	დაგროვილი ცვეთა 2024 წლის საწყისი	2024 წლის საწყისი	შეძენა (გადაფასება)	გასვლა	ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბრის	საბოლოო საბალანსო ღირებულება
შენობა 1. ნაგებობა	2168090.92	612635.7	1555455.2	7193856	0	198327.74	8550983.46
	1996.62	213.77	1782.85	0	0	79.86	1702.99
კავშირგაბმულობის მოწყ.	2392.37	2392.37	0	0	0	0	0
კომპიუტერული ტექ. და პერიფ.მოწყ.	36452.32	24141.58	12310.74	2033	0	4182.49	10161.25
ოფისის აღჭურვილობა	176051.74	168285	7766.73	8718	0	3255.81	13228.92
ავტომობილები	79109.30	43707.11	35402.19	15488	0	10372.56	40517.63

ინვენტარი	319509.87	273221.13	46288.74	109570	2918	31562.24	121378.5
სხვა ამორტ.							
ძირით.							
საშუალებები	66586.24	57139.57	9446.67	1484	0	4842.91	6087.76
ავტოსატრანსპორტო							
საშუალება	29504.70	25228.43	4276.27			3207.20	1069.07
მიწა	81000.00	0	81000	0	0	0.00	81000
	2960694	1206965	1753729	7331149	2918	255831	8826130

ცვეთა/ამორტიზაციის
ხარჯი **255831**

საბალანსო ღირებულება **8826130**

7. სავაჭრო ვალდებულებები (შენიშვნა # 7)

სავაჭრო ვალდებულებები - **196837**

სასაჩუქრე ბარათების
რეალიზაციიდან წარმოქმნილი
ვალდებულება **48075**

უნადლო ანგარიშსწორებით წინასწარ
ჩარიცხული თანხები **14617**

მიწოდებიდან და მომსახურებიდან
წარმ. ვალდებულება **14676**

საქონლის მომწოდებლებოს მიმართ
წარმოქმნილი ვალდებულება **75800**

წინასწარ გადახდილი ავანსები **43669**

8. მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები (შენიშვნა # 8)



მოკლევადიანი მიმდინარე სასესხო ვალდებულება (ბანკის)- 0

9.გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (შენიშვნა # 9)

მიმდინარე წელს გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება კომპანიას არ
გააჩნია- 0

10. სხვა რეზერვები (შენიშვნა # 10)

შენობის გადაფასების რეზერვი:

შენობა 1.-- 7647347 ლარი

ჯამი---7647347

კომპანიას კაპიტალში შექმნილი აქვს გადაფასების რეზერვ
ი.

11.ნეტო ამონაგები (შენიშვნა # 11)

ნეტო ამონაგები შედგება საქონლის გაყიდვიდან -10736242
ლარი და მომსახურების გაწევიდან-70920 ლარი. რაც ჯამში
შეადგენს --10807162 ლარს.

12.სხვა საოპერაციო შემოსავალი (შენიშვნა # 12)

სხვა საოპერაციო შემოსავალი
(არარეზიდენტებისაგან მიღებული
ფასდამოება, ძირითადი 14287
საშუალებების გაყიდვიდან მიღებული
შემოსავალი)



კონვერტაციიდან მიღებული
შემოსავალი 9360

ჯამი 23647

სხვა შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის
არასაოპერაციო შემოსავალს

13.საპროცენტო ხარჯი (შენიშვნა # 13)

კომპანიას აქვს საკრედიტო ხაზი
ბანკში და გაწეულ იქნა საპროცენტო
ხარჯი 3187

14.ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (შენიშვნა # 14)

ადმინისტრაციული და სხვა
საოპერაციო ხარჯი

რეკლამის ხარჯი 0

კომუნალური ხარჯები 51645

კომუნიკაციის ხარჯი 3575

2716

მივლინების ხარჯი 42062

კრედიტის აღებასთან
დაკავშირებული ხარჯი 1306

საბანკო ხარჯი 149141



ადმინისტრაციული ხარჯი (დაცვის,
ინტერნეტის,ავტომობილის,სალარო
აპარატის მომსახურების,ნოტარიუსის,
საოფისე,საკანცელარიო,საფოსტო,
ბუღალტრული პროგრამის ა და სხვ
ა....)

57268

საწვავის ხარჯი 2190

სხვა ხარჯი 13286

საგადასახადო ხარჯი:

რეციკლირების ხარჯი 102

მიწის გადასახადი 293

ქონების გადასახადი 17961

საპენსიო ანარიცხები 14337

კონვერტაციის ხარჯი 17099

ჯამი : 372981

**15. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)
სავალუტო ოპერაციებიდან (შენიშვნა # 15)**

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) -4744
სავალუტო ოპერაციებიდან

კომპანიას გააჩნია მოკლევადიანი ვალდებულება ბანკის
მიმართ, სესხის სახით, რომელიც არის უცხოურ ვალუტაში
(ევროში), 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის გადაფასება
იწვევს საკუროსო სხვაობას.



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2024 31/12/2023 31/12/2022

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2722637	631093	654154
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	356454	106786	545278
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	243652	152927	320554
მარაგები	6399372	7123368	4918472
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	6399372	7123368	4918472
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	77097	76471	56585
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	8826130	1753108	1787170
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	18625342	9843753	8282213
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	196837	119480	116867
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	453894	0	124088
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	385740	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	249828
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	650731	505220	490783
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2000	2000	2000
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0



გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	10325264	8883042	7335939
გადაფასების რეზერვი	7647347	453491	453491
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	17974611	9338533	7791430
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18625342	9843753	8282213
 სულ მოკლევადიანი აქტივები	 677203	 922417	 279537
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	650731	240955	327934



საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	10807162	7718705
საქონლის გაყიდვიდან	10736242	7659699
მომსახურების გაწევიდან	70920	59006
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0
სხვა		0
გაყიდვების თვითღირებულება	-4945521	-3451186
საწყისი მარაგები		0
მარაგების შესყიდვა		0
გადამუშავების დანახარჯები		0
საბოლოო მარაგები		0
საერთო მოგება	5861641	4267519
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23647	106931
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1230527	-1022108
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	-255831	-160994
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-3187	-33761
იჯარის ხარჯი	-6007	-6143
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-372981	-348272
სულ საოპერაციო ხარჯები	-1844886	-1464347
საოპერაციო მოგება	4016755	2803172
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-4744	-110171
მიღებული დივიდენდები		0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-108502	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	3903509	2693001
განგრძობითი ოპერაციებიდან	-369608	-171882
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3533901	2521119
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	7193856	0



სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	10727757	2521119
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9338533	7791430
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2090702	-974000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-977	-16
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	17974611	9338533



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა

31/12/2024 31/12/2023

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

2091544 -23061

საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

0 0

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები

0 0

ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)

2091544 -23061

ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე

0 0

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში

631093 654154

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს

2722637 631093



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2024	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2023	წინა საანგარიშგებ ო პერიოდის საწყისი თარიღი 01.01.2023
--	--	--	---

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,722,637	631,093	654,154
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	356,454	106,786	545,278
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად	243,652	152,927	320,554
მარაგები	6,399,372	7,123,368	4,918,472
- მზა პროდუქცია	6,399,372	7,123,368	4,918,472
- სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მოკლევადიანი აქტივები	77,097	76,471	56,585
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8,826,130	1,753,108	1,787,170
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	18,625,342	9,843,753	8,282,213

ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	196,837	119,480	116,867
ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	453,894		124,088
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		385,740	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები			249,828
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები			



სულ ვალდებულებები	650,731	505,220	490,783
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში ')	2,000	2,000	2,000
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი	10,325,264	8,883,042	7,335,939
გადაფასების რეზერვი	7,647,347	453,491	453,491
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები			
სულ საკუთარი კაპიტალი	17,974,611	9,338,533	7,791,430
სულ საკუთარი კაპიტალი და	18,625,342	9,843,753	8,282,213
სულ მოკლევადიანი აქტივები	677,203	336,184	922,417
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	650,731	505,220	240,955

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებ ო პერიოდი 2024	წინა საანგარიშგებ ო პერიოდი 2023
ნეტო ამონაგები	10,807,162	7,718,705
საქონლის გაყიდვიდან	10,736,242	7,659,699
მომსახურების გაწევიდან	70,920	59,006
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		
გაყიდვების თვითღირებულება	(4,945,521)	(3,451,186)
საერთო მოგება	5,861,641	4,267,519
სხვა საოპერაციო შემოსავალი	23,647	106,931
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,230,527)	(1,022,108)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	(255,831)	(160,994)
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	(3,187)	(33,761)
იჯარის ხარჯი	(6,007)	(6,143)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო	(372,981)	(348,272)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,844,886)	(1,464,347)
საოპერაციო მოგება	4,016,755	2,803,172
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი)		
მარაგების გაუფასურების გაუფასურების		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების		



წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(4,744)	(110,171)
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(108,502)	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის	3,903,509	2,693,001
მოგების გადასახადის ხარჯი	(369,608)	(171,882)
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	3,533,901	2,521,119

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	7,193,856	
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები).		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	10,727,757	2,521,119

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	9,338,533	7,791,430
ახალი აქციების გამოშვება (მპს-ს		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(2,090,702)	(974,000)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(977)	(16)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის	17,974,611	9,338,533

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2024	წინა საანგარიშგებო პერიოდი 2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2,091,544	(23,061)



საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	2,091,544	(23,061)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	631,093	654,154
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,722,637	631,093

